პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

13/05/2024

MES 0 24 0000514036

ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „საცხენოსნო ტურის გამყოლი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და ,,ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიულ მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 5 დეკემბრის №1544151 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ

იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, საბჭოს აპარატის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლაში (ს/კ: 429322985) „საცხენოსნო ტურის გამყოლის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს ,,ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 5 დეკემბრის №1544151 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი)**
.

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 13 მაისის №509696 ოქმის მეხუთე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

ელექტრონული
ზუსტი ასლია
ელექტრონულის

დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01420	საცხენოსნო ტურის გამყოლი	გადამზადება	მეხუთე	10	ქართული	12	დაბა გუდაური, გონდოლას ზედა სადგური; დუშეთის რაიონი; თეთრი წყაროს რაიონი, სოფ. ღვევი; სიღნაღის რაიონი, დასახლება ქედელი